საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 717

01 09 2015წ.

ქ. თბილისი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ!" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 ა.)

დირექტორი

გიორგი შარვაშიძე

დანართი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი განათლებაა, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ზრუნვის უმთავრეს საგანს წარმოადგენს. იგი არსებითი მექანიზმია სოციალური პროგრესისთვის. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - ეთიკის კოდექსი) გაზიარებით თითოეული პირი იღებს პასუხისმგებლობას, განამტკიცოს საზოგადოების ნდობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისადმი.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება ნორმებს, რომლებიც საზოგადოების ღირებულებათა სისტემის უმაღლესი გამოხატულებაა. ეთიკის კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების (შემდგომში - ექსპერტი) პროფესიული ღირსების შესაბამისი ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებასა და საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

I. ექსპერტის საქმიანობის პრინციპები

მუხლი 1. კეთილსინდისიერება

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ და საჯარო სამართლის იურიუდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეპუტაციას;
2. ექსპერტმა მოსაზრებები უნდა გამოხატოს იმ ფორმით, რომ არ შეურაცხყოს სხვათა ღირსება;
3. ექსპერტი სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკური ნორმებით, იყოს კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიზნების შესრულების ხელშეწყობას;
4. ექსპერტი ეფექტიანად უნდა იყენებდეს სამუშაო დროს, ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და სხვა რესურსებს;
5. ექსპერტი არ უნდა იყენებდეს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიას პირადი მიზნებისთვის;
6. ექსპერტი უნდა ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციაში და არ უნდა ახდენდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას;
7. ექსპერტმა უნდა აცნობოს ცენტრს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, როცა ექსპერტი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) მონაწილეობდა აღნიშნული დაწესებულების/პროგრამის შეფასება/შემუშავებაში;

ე) ბოლო ორი წლის განმავლობაში შრომითი ურთიერთობა ჰქონდა იმ დაწესებულებასთან, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

ვ) შრომითი ურთიერთობა აქვს საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
თ) არსებობს პირადი ინტერესი ან/და სხვა გარემოება, რომელიც ექსპერტის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე ახდენს (მოახდენს) ზეგავლენას.
8. ექსპერტმა უნდა მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია ყველა იმ დაწესებულების შესახებ, რომელთანაც აქვს საქმიანი ურთიერთობა, ასეთი ურთიერთობის წარმოშობისთანავე.

მუხლი 2. ობიექტურობა/მიუკერძოებლობა
ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია იყოს ობიექტური/მიუკერძოებელი, რაც გულისხმობს, რომ:
1. ექსპერტი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი განწყობებისა და შეხედულებებისაგან;
2. ექსპერტი უნდა ინარჩუნებდეს ნეიტრალურობას ნებისმიერ სიტუაციაში და არ ექცეოდეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;
3. ექსპერტმა არ უნდა მიიღოს საჩუქარი ან სხვა ნებისმიერი სარგებელი დაწესებულებისგან ან სხვა ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ჩართულია საავტორიზაციო/სააკრედიტაციო პროცესში;
4. ექსპერტი არ უნდა დაესწროს საავტორიზატიო/სააკრედიტაციო პერიოდში წვეულებებს, ბანკეტებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებს, რომლებიც ორგანიზებულია ავტორიზაციის/აკრედიტაციის მაძიებლის, ან იმ პირის მხრიდან, რომელიც ჩართულია საავტორიზაციო/სააკრედიტაციო პროცესში.

მუხლი 3. კოლეგიალობა
ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმოს, რომ:
1. ექსპერტმა უნდა დაიცვას და პატივი სცეს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;
2. ექსპერტმა არ უნდა გამოხატოს საჯაროდ/ფორმალურ გარემოში პატივისა და ღირსების შემლახავი აზრი ან შეხედულება კოლეგის პროფესიონალიზმსა და პირად თვისებებზე, აგრეთვე, არ უნდა დააფიქსიროს უპატივცემულო დამოკიდებულება სხვა ექსპერტების შეფასებების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ცენტრის საქმიანობის მიმართ;
3. ექსპერტი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას.

მუხლი 4. თვითგანვითარება
ექსპერტი ვალდებულია მუდმივად ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე, რაც გულისხმობს, რომ:
1. ექსპერტი უნდა გამოხატავდეს მუდმივ მზაობას, იყოს ჩართული პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;
2. ექსპერტი უნდა ეცნობოდეს შესაბამის სფეროში მიმდინარე სიახლეებს.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა
ექსპერტი ვალდებულია:

არ გაასაჯაროვოს ან/და პირადი ინტერესისთვის არ გამოიყენოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები.

II. ეთიკის კოდექსის დარღვევა

მუხლი 6. ეთიკის კოდექსის დარღვევის შედეგები

ექსპერტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევა წარმოადგენს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული წარმოების დაწყების საფუძველს.